ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3525556

ნომერი: AR1534934

თარიღი : 23.08.2017

გაცემის თარიღი : 13.09.2017

გაცნობის თარიღი : 15.09.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გივი კარტოზიას ქუჩა N10 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ჩირაძე პ/ნ 01017022486
- თბილისი ლ.შარაშიძის ქ. N 6

ორგანიზაცია:

- ჰაუსარტ პროჯექტი კოდი: 205258978

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 05 ივლისის №3376370 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 23 აგვისტოს №AR1534934 განცხადებით მომართა ირაკლი ჩირაძემ და მოითხოვა, ამავე სამსახურის 2017 წლის 05 ივლისის №3376370 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 05 ივლისის №3376370 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისში, გივი კარტოზიას ქუჩა #10-ში, მიწის ნაკვეთზე საკ. კოდი №01.10.16.004.194, მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 05 ივლისიდან 2019 წლის 05 აპრილის ჩათვლით.

წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2017 წლის 05 ივლისის №3376370 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და განმარტავს, რომ დამხმარე ფართობად უნდა დაფიქსირდეს 625.38 კვ.მ ნაცვლად 628.28 კვ.მ-სა, სასწავლო აუდიტორიის ფართობად დაფიქსირდეს 545.28 კვ.მ და საერთო ფართობად უნდა დაფიქსირდეს 93847.48 კვ.მ ნაცვლად 93305.1 კვ.მ-სა. განმცხადებელმა ასევე მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 05 ივლისის №3376370 ბრძანებით შეთანხმებული: +0.000 ნიშნულის, +58.500 ნიშნულის და ±0.000 ნიშნულის(ავტოსადგომის) საპროექტო გეგმების, 2017 წლის 23 აგვისტოს №AR1534934 განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი საპროექტო გეგმებით ჩანაცვლება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

სამსახურმა გამოიკვლია 2017 წლის 23 აგვისტოს №AR1534934 განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნა, შეადარა 2017 წლის 05 ივლისის №3376370 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს შესაბამისი ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 05 ივლისის №3376370 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: დამხმარე ფართობად დაფიქსირდეს 625.38 კვ.მ, სასწავლო აუდიტორიის ფართობად დაფიქსირდეს 545.28 კვ.მ საერთო ფართობად დაფიქსირდეს 93847.48 კვ.მ.
2. ჩანაცვლდეს, სამსახურის 2017 წლის 05 ივლისის №3376370 ბრძანებით შეთანხმებული: +0.000 ნიშნულის, +58.500 ნიშნულის და ±0.000 ნიშნულის(ავტოსადგომის) საპროექტო გეგმები, 2017 წლის 23 აგვისტოს №AR1534934 განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი საპროექტო გეგმებით
3. სამსახურის 2017 წლის 05 ივლისის №3376370 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 05 ივლისის №3376370 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.